ხელშეკრულება #27
(მომსახურების შესახებ)

ქ. ჭიათურა 1 დეკემბერი 2017 წ.

ერთის მხრივ, სსიპ როინ მიროტაძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მორძგვეთის საჯარო სკოლა (შემდგომში ,,დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია ბარჯაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ოფისი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ია ბაძგარაძის სახით, (შემდგომში ,,შემსრულებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია პრინტერის შეკეთება და კატრიჯების დატუმბვა. (CPV კოდი- 72590000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 70 (სამოცდაათი) ლარს.
2. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი ზედებულის შესაბამისად ,
3. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1. შემსრულებელი ვალდებულია სამუშაო შეასრულოს ხარისხიანად.

3. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

4. შემსრულებელი უფლებამოსილია: მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 1 დეკემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

უხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.
2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	**შემსრულებელი:**
სსიპ როინ მიროტაძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მორძგვეთის საჯარო სკოლა მის. ჭიათურა, სოფელი მორძგვეთი საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22 ს/კ 215606431 ა/ა GE37BG0000000119198400 **დირექტორი** **მაია ბარჯაძე** (ხელმოწერა)	შპს „ოფისი” ს/კ 415593628 მისამართი: ქ.ჭიათურა ,ნინოშვილის ქ N12 მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“ BAGAGE22 ა/ა N GE91BG0000000636020800 **დირექტორი** **ია ბაძგარაძე** (ხელმოწერა)

ბ.ა

ბ.ა